**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

# ბრძანება N 2-75

24/01/2019 ქ. თბილისი

**ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ მდ. ჩვეშურაზე და მდ. ხვარგულაზე 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიორა ჰესის“ მდ. ჩვეშურაზე და მდ. ხვარგულაზე 15,85 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ჭიორა ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N2 (17.01.2019წ.);
2. შპს „ჭიორა ჰესმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N2 (17.01.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჭიორა ჰესს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიორა ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი